საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
საგამოძიებო სამსახური

MINISTRY OF FINANCE OF GEORGIA
INVESTIGATION SERVICE

N 6193 / 15-02

6193-15-02-2-202204181704

18.04.2022

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის
პროგრამის კოორდინატორს
ბატონ ვახტანგ კობალაძეს

ბატონო ვახტანგ,

თქვენი 2022 წლის 11 აპრილის №3-784 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის 2021 წლის 03 ნოემბრის №15497/15-02 წერილში მოხსენიებულ სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით, უწყების მიერ, კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში, თქვენთვის არაერთხელ მოწოდებულ იქნა კონკრეტული სახის ინფორმაცია.

ამასთან, როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა გათვალისწინებით, სისხლის სამართლის საქმის მასალებთან დაკავშირებული მონაცემების გაცნობის უფლებამოსილება აქვთ მხარეებსა და დაზარალებულს. მხარეს ამავე კანონის მე-3 მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით წარმოადგენს: ბრალდებული, მსჯავრდებული, გამართლებული, მათი ადვოკატი, გამომძიებელი და პროკურორი, ხოლო დაზარალებული ხსენებული მუხლის 22-ე ნაწილის თანახმად არის: სახელმწიფო, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი მიადგა უშუალოდ დანაშაულის შედეგად.

ვინაიდან, მოცემულ სისხლის სამართლის საქმეში თქვენ არ სარგებლობთ მხარისა და დაზარალებულის სტატუსით, საგამოძიებო სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას მოგაწოდოთ კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის ირგვლივ არსებული დეტალური ინფორმაცია.

პატივისცემით,

ნანა ხუციშვილი

ადმინისტრაციის უფროსი
საგამოძიებო სამსახურის ადმინისტრაცია

ქ. თბილისი, 0177, უნივერსიტეტის ქ. N2ა; ტელ.: (995 32) 226 20 48, 226 20 47, 226 20 46; ფაქსი: (995 32) 226 20 18, 226 20 48
Tbilisi, georgia, 0177 , 2a, Universiteti str.; Tel.: (995 32) 226 20 48, 226 20 47, 226 20 46; Fax: (995 32) 226 20 18, 226 20 48